

7

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება

1.2.1/10/506-1

ქ. თბილისი

29.12.2014 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) ალექსანდრე მარგიშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „სემექს ჯორჯია SEMEX-GEORGIA“ (“შემდგომში მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზეზვა ჩივჭიურის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

**2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,
ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - საგზაო მოძრაობის და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული შუქნიშნების და მათი მოწყობილობების მოვლა-შენახვა-ექსპლოატაციის სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის III პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (ქ. თბილისის საკრებულოსგან მიღებული წერილობითი თანხმობა, წერილის N04/19969, 26/12/2014).

2.2 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 21 598.50 (ოცდაერთათას ხუთასოთხმოცდათვრამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.3 კლასიფიკატორის კოდი - 50232000 - საზოგადოებრივი ადგილების გასანათებელი მოწყობილობების და შუქნიშნების ტექნიკური მომსახურება.

2.4 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია 2015 წლის 31 მარტის ჩათვლით ჩათვლით.

3. მიწოდების პირობები

3.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს 2015 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისის ტერიტორია.

4. გაწეული მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება დანართის სახით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განხორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ გაწეული მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით

გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა. 5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.4 პუნქტში მითითებული პირები).

6.2 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება, ეტაპობრივად, 2015 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

7.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის გადახდის შემდეგ.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ გაცდენილ დღეზე ხელშეკრულებით ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.

8.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
 - ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
 - გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

12.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13. ღირებულება

13.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

13.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

13.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

13.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 14.2 პუნქტში მითითებული მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები.

14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი: 577-40-82-88. 2-94-62-85. საკონტაქტო პირი: ზეზვა ჩივჭიური. ელექტრონული ფოსტა: zezvachi@gmail.com.

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი: 577-15-55-56. საკონტაქტო პირი: მზევარ გოგილავა, ელექტრონული ფოსტა: m.champuridze@tbilisi.gov.ge.

14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

15.2ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

15.3ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.



17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

შ.პ.ს „სემექს ჯორჯია SEMEX-GEORGIA“

ალექსანდრე მარგიშვილი

ზეზვა წიკოიური
დირექტორი

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

შ.პ.ს „სემექს ჯორჯია SEMEX-GEORGIA“

ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. N31,
ბ. 128

ს.ს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

ს.ს "თიბისი ბანკი"

საიდ. კოდი: 204521794

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა: GE95LB0125152101627000

საიდ. კოდი: 405023031

ა/ა GE27TB7953836020100001

საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული

სისტემის, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში

არსებული შუქნიშნების და მათი მოწყობილობების

მოვლა-შენახვა-ექსპლუატაციის

სამუშაოების შესყიდვის

ტექნიკური დავალება

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის, როგორც პერიფერიული მოწყობილობების ისე ცენტრალური სამართავი პულტის, ამ სისტემაში ჩართული 121, ხისტ რეჟიმზე მომუშავე 96 შუქნიშნი ობიექტის, 20 მოციმციმე შუქნიშნის სიგნალების ნათების დროის ათვისის 76 ტაბლოს, ქვეითების მიერ შუქნიშნის სიგნალების გამოსაძახებელი მოწყობილობების (დამონტაჟებულია შუქნიშნის 28 ობიექტზე) მოვლა-შენახვა-ექსპლუატაცია.

საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის სისტემის და ამ სისტემაში შემავალი მოწყობილობების დანიშნულება და მუშაობის პრინციპი, მათი მუშა მდგომარეობაში შენახვის უზრუნველსაყოფად მიმწოდებლის მიერ გასატარებელი ღონისძიებები მოცემულია ქვემოთ.

საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემა მოიცავს ტექნიკური, პროგრამული და ორგანიზაციული საშუალებების კომპლექსს, რომლებიც უზრუნველყოფენ სატრანსპორტო ნაკადების პარამეტრების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და მათ საფუძველზე მოძრაობის ოპტიმალურ მართვას.

მართვის სისტემას გააჩნია პერიფერიული მოწყობილობების ფართო ქსელი, რომლებიც დაკავშირებულია მართვის ცენტრთან. სისტემაში შემავალი კავშირის არხები უზრუნველყოფენ სისტემაში საწყისი საკომანდო და სატრანსპორტო ინფორმაციის მუდმივ ცირკულაციას. ეს უკანასკნელი საჭიროა იმისათვის, რომ ფუნქციონირებდეს სისტემის ძირითადი პროგრამულ-ტექნიკური კომპლექსები: საინფორმაციო-საზომი, ავტომატიზირებული მართვის, სადისპეტჩერო და ხელით მართვის. საკონტროლო-სადიაგნოსტიკო სისტემის თითოეული კომპლექსი წყვეტენ განსაზღვრულ ამოცანას.

სისტემაში შემავალი ინფორმაციის დამუშავება, ფორმირება და მართვის საკომანდო საშუალებებზე გადაცემა ხდება საგზაო ქსელზე მოძრაობის პირობების ცვლილებების სიჩქარის შესაბამის ტემპში.

სისტემის შემდეგი მთავარი ამოცანაა მართვის რეჟიმების ამორჩევა (ან გაანგარიშება) და სისტემის შემსრულებელ ორგანოებზე _ პერიფერიულ მოწყობილობებზე მართვის მოქმედების ფორმირება. სისტემას ნორმალური რეჟიმის მუშაობის პირობებში მართვას ახორციელებს სისტემის მმართველი კომპლექსი, რომლის მოწყობილობებში ჩადებულია მართვის პროგრამები, რომლებიც შეესაბამებიან გარკვეულ

სატრანსპორტო სიტუაციებს, პროგრამაში ამოიჩვენა ავტომატურად და შემოსული პერიფერიული ინფორმაციის მიხედვით უკეთდება კორექტირება.

სისტემის ტექნიკურ საშუალებებს მიეკუთვნებიან: სატრანსპორტო დეტექტორები, ინფორმაციის გადამცემი მოწყობილობები, დამუშავების საშუალებების (გამოთვლითი კომპლექსი); პერიფერიული შემსრულებელი მოწყობილობები (საგზაო კონტროლიორები); სადისპეტჩერო კონტროლის და მოძრაობის მართვის საშუალებები, საკონტროლო-სადიაგნოსტიკო აპარატურა.

მოძრაობის მართვის სისტემის, ყველა ქვესისტემისა და მოწყობილობის ფუნქციონირების უზრუნველყოფა სრულად ეკისრება მიმწოდებელს.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საგზაო მართვის ავტომატიზირებული სისტემის მოვლა-შენახვა ექსპლუატაცია, რისთვისაც დაწესებული უნდა ჰქონდეს სადღეღამისო მორიგეობა, უწყვეტ რეჟიმში უნდა ახდენდეს საგზაო მოძრაობის მართვას, როგორც საკომანდო პუნქტიდან, ისე პერიფერიული მოწყობილობებიდან.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია:

- მოახდინოს ყველა ტიპის პროგრამული და აპარატურული მოწყობილობის პრევენციულ და სარემონტო საქმიანობაზე მუდმივი კონტროლის განხორციელება;
- პასუხი აგოს მომსახურების დონეზე 24 საათის განმავლობაში კვირის 7-ვე დღეს;
- ადგილზე იქონიოს ყველა აუცილებელი სათადარიგო ნაწილი დაზიანების შემთხვევაში შეცვლის მიზნით, აღნიშნული კომპონენტების სარემონტო სამუშაოების ხარჯები შეტანილი უნდა იყოს სატენდერო წინადადების ფასში;
- ხელშეკრულების მთელი მოქმედების ვადაში შეინარჩუნოს საოფისე და კვალიფიციური პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა ტექნიკურ მომსახურებას, მათ შორის პროფილაქტიკურ და საავარიო მომსახურებას;
- უზრუნველყოს საავარიო მომსახურებები. აღნიშნული ვალდებულებების ფარგლებში მიმწოდებელმა უნდა შეცვალოს ნებისმიერი დაზიანებული ან გაუმართავი მოწყობილობა, ნებისმიერი მიზეზის გამო წარმოქმნილი დაზიანების ან გაუმართაობის გამოვლენისთანავე;
- დაასრულოს სარემონტო სამუშაოები დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში;
- დაზიანებაზე ან გაუმართაობაზე ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს;
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მინიმუმ 2 მობილური (2 კაცის) ჯგუფის მუშაობა პერიფერიულ მოწყობილობებთან.

კრიტიკულ გარემოებებში და მძიმე დაზიანების შემთხვევებში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, კლიმატური პირობების ან სხვა მექანიკური მიზეზით დაზიანებული პერიფერიული მოწყობილობების (სატრანსპორტო კონტროლერი, დეტექტორი, შუქნიშნები, შუქნიშნების დგარი, ელ. სადენი, კონსოლი) დროული აღდგენა.

მომრავის მართვის სისტემის და შუქნიშნის მართვის ცენტრს შორის კავშირის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მიმწოდებელს უნდა შეეძლოს გზაჯვარედინის კოორდინაცია, რაც შეიძლება მიახლოებული შუქნიშნის დროის ინტერვალის იმ სქემებთან, რომლებიც გამოყენებული იქნებოდა თუ არ მოხდებოდა მწყობრიდან გამოსვლა ან ხარვეზი.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

- ყველა ის აუცილებელი ღონისძიება, რომლებიც საჭიროა ვიდეო დაკვირვების სისტემაში ბორბლი განზრახვით ან არამიზნობრივად შეღწევისა და სისტემის და რესურსების შემსყიდველის ნებართვის გარეშე გამოყენების თავიდან ასაცილებლად (გარეშე და/ან შიდა მომხმარებლის მიერ);
- მომრავის კონტროლისა და მართვის ცენტრის ოპერატორების შემსყიდველთან შეთანხმებული დიზაინის უნი-ფორმებით აღჭურვა;
- პროფილაქტიკური ტექნიკური მომსახურება ყველა არსებული მოწყობილობებისათვის;
- მომრავის მართვის სისტემის კონტროლის პარამეტრების (ციკლი, ეტაპების დრო) შეცვლა დაშვებული ცვლილებების საზღვრები და ფარგლები უკვე დამტკიცებული დროის ინტერვალის სქემასთან შედარების გზით განისაზღვრება შემსყიდველის მიერ;
- მომრავის კონტროლისა და მართვის ცენტრში არსებული ტექნიკური მოწყობილობებისა და მათში არსებული ოპერაციული სისტემებისა და კომპიუტერული პროგრამების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია. ასევე ცენტრის გამართული მუშაობისთვის საჭირო ყველა სახის სარეზერვო ასლის ქონა სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

მიმწოდებელი პასუხისმგებელია კვალიფიციური ტექნიკური მომსახურების სპეციალისტების მისაწვდომობაზე იმ ნებისმიერი სარემონტო საქმიანობისთვის, რომლის განხორციელება აუცილებელია სისტემის ყველა კომპონენტის და სრული მუშაობის უნარის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული პასუხისმგებლობა ვრცელდება 24 საათის განმავლობაში ხელშეკრულების მთლიანი მოქმედების ვადაში.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემდეგი ტექნიკური სამუშაოები უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი პერიოდულობით:

- შუქნიშნის სიგნალების მხედველობის არეს და მუშაობის რეჟიმის შემოწმება. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა;
- შუქნიშნის სინათლის მაზნევი ლინზის სექციების და შუქნიშნის სიგნალების ნათების დროის ათვლის ტაბლოს გასუფთავება;
- შუქნიშნის ელექტრო სადენების (კაბელის) და დგარების შემოწმება, გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა;
- ქვეითების გამოსამახებელი მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება;

მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს ავტომატიზირებულ მართვის სისტემაში ჩართული 121 და ხასტი რეჟიმზე მომუშავე 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) შუქნიშნის ობიექტის მიერ მოხმარებული ელექტრო ენერჯის ღირებულება, თვის განმავლობაში დაახლოებით 6000 ლარი.

მიმწოდებელი ვალდებულია საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ცენტრში მუდმივად იყოლოს 08:00 - დან 20:00 - მდე 4(ოთხი) თანამშრომელი, ხოლო 20:00 - დან 08:00 - მდე 2(ორი) თანამშრომელი.

მექანიკური ზემოქმედების ან კლიმატური პირობების შედეგად დაზიანებული ტექნიკური საშუალებების დემონტაჟი, დასაწყობება და შენახვა უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

ტენდერში მონაწილე კომპანიას ან მის თანამშრომელს/ებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოების გამოცდილება. კომპანიამ აღნიშნულის დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულება ანალოგიური მომსახურების გაწევის თაობაზე, ხოლო თანამშრომლის/ების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას გამოცდილების (მუშაობის) დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი ორგანიზაციიდან.

საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის ავტომატიზებულ სისტემაში ჩართული შუქნიშნის ობიექტები განლაგებულია შემდეგ გზაჯვარედინებზე:

1. ჭავჭავაძის გამზირის და ვარაზისხევის გადაკვეთა
2. ჭავჭავაძის გამზირის და ნაფარეულის ქუჩის გადაკვეთა
3. ჭავჭავაძის გამზირის და ბაზალეთის ქუჩის გადაკვეთა
4. ჭავჭავაძის გამზირის და არაყიშვილის ქუჩის გადაკვეთა
5. ჭავჭავაძის გამზირის და დიდიმ მირცხულავას (ყოფილი ფალიაშვილის შესახვევის) გადაკვეთა
6. ჭავჭავაძის გამზირის და თაქთაქიშვილის (რიგის) ქუჩის გადაკვეთა
7. ჭავჭავაძის გამზირის და კავსადის ქუჩის გადაკვეთა
8. ჭავჭავაძის გამზირის და ბერძენიშვილის ქუჩის გადაკვეთა
9. ჭავჭავაძის გამზირის და ყიფშიძის ქუჩის გადაკვეთა
10. ფალიაშვილის და ბერძენიშვილის ქუჩების გადაკვეთა
11. ფალიაშვილის და კავსადის ქუჩების გადაკვეთა
12. ფალიაშვილის და თაქთაქიშვილის (რიგის) ქუჩების გადაკვეთა
13. ფალიაშვილის და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთა
14. ფალიაშვილის და ბაზალეთის ქუჩების გადაკვეთა
15. ფალიაშვილის და ერისთავის ქუჩების გადაკვეთა
16. ფალიაშვილის და ნაფარეულის ქუჩების გადაკვეთა
17. ბარნოვისა და ნაფარეულის ქუჩების გადაკვეთა
18. არაყიშვილისა და ი. აბაშიძის ქუჩების გადაკვეთა
19. ი. აბაშიძისა და დიდიმ მირცხულავას ქუჩების გადაკვეთა
20. თამარშვილის და გ. წერეთლის ქუჩების გადაკვეთა
21. ქავთარაძის ქ. #1-ის მიმდებარედ (გამომახებით)
22. ქავთარაძის ქუჩაზე _ იზოტოპებთან
23. ქავთარაძე-პოლიტოვსკაიას _ მამასახლისოვის ქუჩების გადაკვეთა
24. ალექსანდრე ყაზბეგის #53-თან (გამომახებით)
25. ყაზბეგის გამზირის და თამარაშვილის ქუჩის გადაკვეთა
26. ყაზბეგის გამზირის და ანტონოვსკაიას ქუჩის გადაკვეთა

27. ყაზბეგის გამზირის და ასათიანის ქუჩის გადაკვეთა
28. ყაზბეგის გამზირის და ტაშკენტის ქუჩების გადაკვეთა (ხმოვ/სიგნ)
29. ყაზბეგის გამზირის და იონა ვაკელის ქუჩის გადაკვეთა (ხმოვ/სიგნ)
30. პეკინის და ბულაჩაურის ქუჩების გადაკვეთა
31. პეკინის ქუჩისა და ალ. ყაზბეგის გამზირის გადაკვეთა
32. პეკინის ქუჩისა და ვაჟა-ფშაველას გამზირის გადაკვეთა
33. პეკინის და მიცკევიჩის ქუჩების გადაკვეთა
34. პეკინის და ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს) ქუჩების გადაკვეთა
35. პეკინის და მიროტაძის გადაკვეთა (ხმოვ/სიგნ)
36. პეკინის და ბუდაპეშტის ქუჩების გადაკვეთა
37. შარტავას (ყოფილი ანაგის) და კალანდაძის (ყოფ. ბულაჩაური) ქუჩების გადაკვეთა
38. ჟვანიას (ყოფილი გაგარინის) სახელობის მოედანი
39. გაგარინისა და ვაზისუბნის ქუჩების გადაკვეთა
40. ტაშკენტის და კანდელაკის ქუჩების გადაკვეთა
41. ს. ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს) და გამრეკელის ქუჩების გადაკვეთა
42. ს. ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს) ქუჩაზე ეკლესიასთან (გამოძახებით)
43. ს. ცინცაძის ქ. #40-თან ბახტრიონის ქუჩიდან ჩამოსასვლელი უსახელო ქუჩის გადაკვეთა
44. ნუცუბიძის ქუჩის #123-სახლთან (გამოძახებით)
45. ნუცუბიძის და ჟღენტის ქუჩების გადაკვეთაზე
46. ნუცუბიძის და მოწენიძის ქუჩების გადაკვეთაზე
47. ნუცუბიძის და ასათიანის ქუჩების გადაკვეთაზე
48. მიცკევიჩის და გამრეკელის (ყოფილი კუტუხოვის) ქუჩების გადაკვეთაზე
49. ნუცუბიძის და თავაძის ქუჩების გადაკვეთა (საბაგროსთან)
50. ვაჟა-ფშაველას გამზირის და შავიშვილის ქუჩის გადაკვეთა
51. ვაჟა-ფშაველას გამზირის და მაროჯანის ქუჩის გადაკვეთა (ძეგლთან)
52. ვაჟა-ფშაველას გამზირის #55 (გამოძახებით)
53. ვაჟა-ფშაველას გამზ. #63-ის (გამოძახებით) მიმდებარედ
54. ვაჟა-ფშაველას გამზირი _ ეკლესიასთან (აგრარულ ბაზართან) (ხმოვ/სიგნ)
55. ვაჟა-ფშაველას გამზირის და გაბაშვილის ქუჩის გადაკვეთა
56. ვაჟა-ფშაველას გამზირის და ასათიანის ქუჩის გადაკვეთა
57. ვაჟა-ფშაველას გამზირის და იონა ვაკელის (ყოფილი ქართველიშვილის) ქუჩის გადაკვეთა
58. ბელიაშვილის და ა. ბაქრაძის ქუჩების გადაკვეთა
59. ბელიაშვილის და მიქელაძის ქუჩების გადაკვეთა
60. ბელიაშვილის და ახმეტელის ქუჩების გადაკვეთა
61. ბელიაშვილის და ჩაჩავას ქუჩების გადაკვეთა
62. ბელიაშვილის და ბოხუას ქუჩების გადაკვეთა (მიონთან)
63. ბელიაშვილის და ჯორჯ ბალანჩინის ქუჩების გადაკვეთა
64. წერეთლის გამზირის და ერისთავის ქუჩის გადაკვეთა
65. წერეთლის გამზირის და სამტრედიის ქუჩის გადაკვეთა
66. წერეთლის გამზირის და სტანისლავსკის ქუჩის გადაკვეთა
67. წერეთლის გამზირის და ბაქრაძის ქუჩის გადაკვეთა

68. წერეთლის გამზირის და ვანის ქუჩის გადაკვეთა
69. წერეთლის გამზირის და გვეტაძის ქუჩის გადაკვეთა
70. წერეთლის გამზირის და ევდოშვილის ქუჩის გადაკვეთა
71. წერეთლის გამზირის და ვახუშტის ქუჩის გადაკვეთა
72. ერისთავის და ნინუას (ყოფ. მექანიზაციის) ქუჩების გადაკვეთა
73. ერისთავის და ჭყონდიდელის (ყოფილი ხუთწლეულის) ქუჩების გადაკვეთა
74. ჭყონდიდელის და ზესტაფონის ქუჩების გადაკვეთა
75. გურამიშვილის _ ერისთავის და დადიანის გადაკვეთა
76. გურამიშვილის გამზირის და გვაზაურის ქუჩის გადაკვეთა
77. გურამიშვილის გამზირისა და ზიგზაგის ქუჩის გადაკვეთა
78. გურამიშვილის გამზირის და ლიახვის ქუჩის გადაკვეთა
79. გურამიშვილის გამზირის და ქსნის ქუჩის გადაკვეთა
80. გურამიშვილის გამზირის და გუდამაყრის ქუჩის გადაკვეთა
81. გურამიშვილის გამზირის და ბარამიძის ქუჩის გადაკვეთა
82. გურამიშვილის გამზირის და შატილის ქუჩის გადაკვეთა
83. გურამიშვილის გამზირის და ანაპის დივიზიის ქუჩის გადაკვეთა
84. გუდამაყრისა და ჩარგლის ქუჩების გადაკვეთა
85. სარაჯიშვილის და ქერჩის ქუჩების გადაკვეთა
86. ც. დადიანის და ბეჟანიშვილის ქუჩების გადაკვეთა
87. ც. დადიანის და ზესტაფონის ქუჩების გადაკვეთა
88. ც. დადიანის და ბენდელიანის ქუჩების გადაკვეთა
89. ც. დადიანის და კობრეიძის ქუჩების გადაკვეთა
90. ც. დადიანის ქუჩაზე 112-ე საჯარო სკოლასთან (გამომახებით)
91. ც. დადიანის ქუჩა მ/ს „ნამალადევის“ წინ
92. ც. დადიანის და ურიდიას ქუჩების გადაკვეთა
93. ც. დადიანის და ხუდადოვის ქუჩების გადაკვეთა
94. ც. დადიანის და ზაზიაშვილის (ყოფილი მონტინის) ქუჩების გადაკვეთა
95. მარცხენა სანაპიროს და ხოშარაულის ქუჩის გადაკვეთა
96. მარცხენა სანაპიროს და ცაბაძის ქუჩის გადაკვეთა
97. მარცხენა სანაპიროს და გალაქტიონის ხიდის პონდუსის გადაკვეთა
98. მარცხენა სანაპიროს და გენერალ კვინიტაძის (ყოფილი ხვამლის) ქუჩის გადაკვეთა
99. მარცხენა სანაპიროს და ჭოროხის ქუჩის გადაკვეთა
100. მარცხენა სანაპიროს და სულაიშვილის ქუჩის გადაკვეთა
101. ავლაბრის მოედანი
102. ქეთევან დედოფლის გამზირის და გუთნის ქუჩის გადაკვეთა
103. ქეთევან დედოფლის გამზირის და თელავის ქუჩის გადაკვეთა
104. ქეთევან დედოფლის გამზირის და წინანდლის ქუჩის გადაკვეთა
105. ქეთევან დედოფლის გამზირის და კასპის ქუჩის გადაკვეთა
106. ქეთევან დედოფლის გამზირის და ლეხ კარინსკის (ყოფილი შავი ზღვის) ქუჩის გადაკვეთა
107. ქეთევან დედოფლის გამზირი 87-ე საჯარო სკოლასთან (გამომახებით)
108. ქეთევან დედოფლის გამზირის და კახეთის 1-ლი შესახვევის გადაკვეთა

109. ქეთევან დედოფლის გამზირი მ/ს „ისანი“-ს მიმდებარედ
110. ქეთევან დედოფლის გამზირის და ნავთლუღის ქუჩის გადაკვეთა
111. ლებ კარინსკის და აწყურის ქუჩების გადაკვეთა
112. ლებ კარინსკის და ზურაბაშვილის (ყოფილი კობარეთის) ქუჩების გადაკვეთა
113. მოსკოვის გამზირის და ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთა
114. მოსკოვის გამზირის და სამგორის ქუჩის გადაკვეთა
115. გამსახურდიას სახელობის (მარჯვენა) სანაპიროს და ვახუშტის ხიდის მარჯვენა პონდუსის გადაკვეთა
116. გამრეკელის და ბახტრიონის ქუჩების გადაკვეთა
117. სააკაძის დაღმართისა (ყოფ. ფიზკულტურის ქუჩა) და ვახუშტის ხიდის მარჯვენა პონდუსის გადაკვეთა
118. ბაქრაძის ხიდისა და შალიკაშვილის ხიდის პონდუსის გადაკვეთა
119. გორგასლის ქ #115
120. ნავთლუღისა და საექიმოს ქუჩების გადაკვეთა
121. ზღვის უბნის ქ. მე-11 მ/რ მე-3 კვარტ. (თემქა)

ხისტ რეჟიმზე მომუშავე შუქნიშნის ობიექტები

1. ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. #3 (გამოძახებით)
2. ჭავჭავაძის გამზირი (რუსეთის ფედერაციის საელჩოსთან) (ხმოვ/სიგნ)
3. თამარაშვილის და უნივერსიტეტის ქუჩების გადაკვეთა
4. ბარნოვისა და პეტრიაშვილის ქუჩების გადაკვეთა
5. ბარნოვისა და ტატიშვილის ქუჩების გადაკვეთა
6. ბარნოვისა და ჭოველიძის (ბელინსკის) ქუჩების გადაკვეთა
7. მ. კოსტავას და მიროტაძის ქუჩების გადაკვეთა
8. კანდელაკის, ბუდაპეშტის და ნუცუბიძის ქუჩების გადაკვეთა
9. მარშალ გელოვანის სახელობის მოედანი
10. მარშალ გელოვანის გამზირისა და სარაჯიშვილის ქუჩების გადაკვეთა (ვაშლიჯვრის ასახვევთან)
11. ოანე პეტრიწის ქუჩაზე (დიდი დილომი) 186-ე სკოლასთან (გამოძახებით)
12. რობაქიძის გამზირის და პაიჭაძის ქუჩის გადაკვეთა
13. პაიჭაძე-მიქელაძე, მიქელაძე-გოგობერიძის ქუჩების გადაკვეთა
14. ქუთაისის და ყიფიანის (ყოფილი დიდუბე) ქუჩების გადაკვეთა
15. ყიფიანის და ვახუშტის ქუჩების გადაკვეთა
16. სამტრედიის და აგლაძის ქუჩების გადაკვეთა
17. ხოშარაულის და აგლაძის ქუჩების გადაკვეთა
18. ქერჩის და ვასაძის ქუჩების გადაკვეთა (გლდანი „ა“მ/რ)
19. ქერჩის და მოსულიშვილის ქუჩების გადაკვეთა
20. ქერჩის და სამამულო ომის გმირების ქუჩების გადაკვეთა
21. გლდანის მე-3მ/რ (ვარდების რევოლუციის ბაღთან) (გამოძახებით)
22. დუმბაძის და გობრონიძის ქუჩების გადაკვეთა (მუხიანი)
23. გობრონიძისა და ნონეშვილის ქუჩების გადაკვეთა (მუხიანი)

24. ანაპის დივიზიის ქუჩა სამშობიაროსთან
25. ანაპის დივიზიის ქუჩა XI მ/რ I კვ. (გამომახებით)
26. ანაპის დივიზიის და ურეკის ქუჩების გადაკვეთა
27. ურიდიას (ყოფილი ჩოდრიშვილის) და მანჯგალაძის ქუჩების გადაკვეთა
28. ფიროსმანის მოედანი (გამომახებით)
29. გ. ჩიტაიას და არდონის ქუჩების გადაკვეთა
30. ჩიქობავას და მაზნიაშვილის ქუჩების გადაკვეთა
31. მარჯანიშვილის და ჩიტაიას ქუჩების გადაკვეთა
32. წინამძღვრიშვილის და გოგიბერიძის ქუჩების გადაკვეთა
33. ხეთაგუროვის და ტოლსტოის ქუჩების გადაკვეთა
34. მეტრო მარჯანიშვილთან (დ. აღმაშენებლის გამზირზე)
35. თამარ მეფის და დავით აღმაშენებლის გამზირის გადაკვეთა
36. თამარ მეფის გამზირის და წინამძღვრიშვილის ქუჩის გადაკვეთა
37. დავით აღმაშენებლის გამზირის და ცაბაძის ქუჩის გადაკვეთა
38. ბეჟაშვილისა და ჭყონდიდელის ქუჩების გადაკვეთა
39. მარცხენა სანაპიროს და სამტრედიის ქუჩის გადაკვეთა
40. ჭოროხის ქუჩაზე სახელმწიფო დაცვის შენობასთან (გამომახებით)
41. ბარათაშვილისა და ახვლედიანის (ყოფილი კიბალჩიჩი) აღმართის გადაკვეთა
42. ჯორჯ ბუშის (ყოფილი მელაანის) ქუჩა (გამომახებით)
43. წურწუმისა ქუჩა #88-ე საჯარო სკოლასთან (გამომახებით)
44. ჩოლოყაშვილის (ყოფილი დოდაშვილის) მოედანი (გამომახებით)
45. ჩოლოყაშვილის ქუჩა მე-2 კვარტალი
46. ბ. ხმელნიცკის ქუჩა #85-ე საჯარო სკოლასთან
47. მოსკოვის გამზირი „პროკრედიტ ბანკთან“
48. ჯავახეთის და კალოუზნის ქუჩების გადაკვეთა
49. კალოუზნის და თრიალეთის ქუჩების გადაკვეთა
50. ჯავახეთის ქუჩა I კორპუსთან 176-ე სკოლის წინ
51. ვაზისუზნის მე-4 მ/რ-ნი (გამომახებით)
52. კახეთის გზატკეცილისა და იუმაშვილის ქუჩის გადაკვეთა
53. კახეთის გზატკეცილისა და საქნავთის ქუჩის გადაკვეთა
54. რუსთავის გზატკეცილი უსინათლოთა საზოგადოება
55. რუსთავის გზატკეცილი ქვემო ფონიჭალა (გამომახებით)
56. რუსთავის გზატკეცილი მარნეულის ქუჩის გადაკვეთა
57. რუსთავის გზატკეცილისა და გულბანის ქუჩის გადაკვეთა (გიგანტის გადასახვევი)
58. გორგასლის ქუჩა #103 მიმდებარედ
59. გულიას ქუჩა „ორთაჭალის“ ხიდთან
60. გ. გულუას ქუჩა 300 არაგველების ხიდთან
61. გორგასლის და კრწანისის ქუჩების გადაკვეთა
62. გორგასლის და ქანი კალანდაძის (ყოფილი ნარიშვილის) ქუჩების გადაკვეთა
63. გორგასლის ქუჩისა და მე-4 შესახვევის გადაკვეთა (გამომახებით)
64. გორგასლის ქუჩაზე ბარნეოლოგიურ კურტორტთან (გამომახებით)

65. გორგასლის ქუჩა _ აბანოთუბანთან
66. მელიქიშვილის და ჯანაშიას ქუჩების გადაკვეთა
67. კოსტავას ქუჩა #52 სახლთან (გამოძახებით)
68. თიანეთის გზატკეცილის და მიქატაძის ქუჩის გადაკვეთა
69. ანდრონიკაშვილის და უწერის ქუჩების გადაკვეთა
70. ჩოლოყაშვილის და ლერწმის ქუჩების გადაკვეთა (გამოძახებით)
71. ჰოლბრუკის ქ. #13-თან (გამოძახებით)
72. წყნეთი-რუსთაველისა და გრიშაშვილის ქუჩების გადაკვეთა (გამოძახებით)
73. ზაჰესი-თბილისის შემოსასვლელი გზისა და შშვიდობის ქუჩის გადაკვეთა
74. ცინცაძის ქუჩა #28 _ სამაშველო სამსახურთან (გამოძახებით)
75. ქერჩის ქუჩა #8-სამაშველო სამსახურთან (გამოძახებით)
76. ჯავახიშვილის ქუჩა #16, სახანძრო სამსახურთან (გამოძახებით)
77. ჩოლოყაშვილის ქ. #40 (გამოძახებით)
78. კოსტავას ქ. #75
79. მარცხენა სანაპიროს და იალბუზის ქუჩის გადაკვეთა
80. ანაპის დივიზიისა და თბილისის ზღვაზე ასასვლელი გზის გადაკვეთა
81. მარცხენა სანაპიროსა და ბარათაშვილის ხიდის პონდუსის გადაკვეთა (რიყის მიმდებარე ტერიტორია)
82. ზოგდან ხმელნიცკის ქ. #151-ის მიმდებარედ
83. ნავთლუღის ქუჩის და ჰოსპიტლის შესახვევის გადაკვეთა (გამოძახებით)
84. ზოგდან ხმელნიცკის ქ. #175-ის მიმდებარედ (გამოძახებით)
85. რუსთავის გზატკეცილის #18-ის მიმდებარედ (გამოძახებით)
86. ჯავახეთის ქუჩისა და ჯავახეთის გზაგამტარის მარჯვენა პონდუსის გადაკვეთა
87. მირიან მეფისა და პეტრე იბერის ქუჩების გადაკვეთა
88. შეშელიძე-გობრონიძის დამაკავშირებელი უსახელო ქუჩის შეშელიძის ქუჩასთან გადაკვეთაზე
89. თიანეთის გზატკეცილსა და კობერიძის ქუჩის გადაკვეთა
90. ზოგდან ხმელნიცკის ქ. #32-ის (გამოძახებით) მიმდებარედ
91. გორგასლის ქ. #37-ის (გამოძახებით) მიმდებარედ
92. ამაღლების ქ. #13-ის მიმდებარედ (გამოძახებით)
93. ხიზანიშვილის ქუჩა VI მ/რ-ნი (გამოძახებით)
94. თორნიკე ერისთავის ქუჩა #14-ის მიმდებარედ (გამოძახებით)
95. ვარკეთილის ზემო პლატო #1 კორპუსის მიმდებარედ (გამოძახებით)
96. მეფე მირიანის ქ. #6-ის მიმდებარედ (გამოძახებით)

მოციმციმე რეჟიმზე მომუშავე ერთსექციანი შუქნიშნები

1. წყნეთი სტალინის ქ. #10
2. დ. აღმაშენებლის ხეივანი „აუდი“-ს ცენტრთან და მის მოპირდაპირედ
3. ბელაშვილის ქუჩა, დიდმის მასივის მე-3 კვარტალი, სასწრაფო დახმარების სადგურთან
4. ფეიქართა ქუჩაზე შპს „თბილისის წყალთან“
5. ურიდიას ქუჩა #177-ის მიმდებარედ

6. ტაბახმელაში კოჯრის გზატკეცილზე წაგვისის გადასახვევთან
7. ბაქრაძის ქუჩა დიდუბის ხიდის ქვეშ
8. ფანასკერტელის და ლიახვის ქუჩების გადაკვეთაზე
9. ბელიაშვილის ქუჩაზე _ დასუფთავების სამსახურთან
10. აეროპორტის მოედანზე (აეროპორტის პოლიციის ახალ შენობასთან)
11. ვახუშტი ბაგრატიონის ქ. მ/ს „წერეთლი“-ს მიმდებარედ
12. აბანოთუბანი (მარჯვენა სანაპირო)
13. თავისუფლების მოედანი ტაბიძის ქუჩის გადაკვეთა
14. გალაქტიონის ხიდის პანდუსზე
15. კოსტავას ქუჩაზე ესტაკადის დასაწყისში
16. ჯავახიშვილის (ყოფილი ელბაქიმე) ქუჩიდან მარჯვენა სანაპიროზე ჩამავალ პონდუსზე .
17. „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარედ არსებული პონდუსების თავებში
18. ნუცუბიძის ქ. #16-ის მიმდებარედ
19. აეროპორტთან
20. პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე

საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის ცენტრში ჩართული ყველა შუქნიშნის ობიექტი შედგება განსხვავებული რაოდენობის, მაგრამ ერთიდაიგივე დასახელების ტექნიკური მოწყობილობებისგან:

- ❖ შუქნიშნის დგარი
- ❖ კონსოლი
- ❖ საგზაო კონტროლერი

საგზაო კონტროლერი Semex PE2011.04 x121

კონტროლერს გააჩნია მუშაობის შემდეგი რეჟიმები:

- ხისტი სადღეღამისო პროგრამა
- კოორდინირებული მართვა
- დისპეჩერული
- ხელით მართვა

ტექნიკური მახასიათებლები:

- შეუძლია მინიმუმ 16 სასიგნალო ჯგუფის მართვა
- მართავს და ზომავს შუქდიოდების ნათურებს 6 ვტ-დან 100 ვტ-მდე
- მართავს ძაბვას გამოსასვლელზე სტანდარტების მიხედვით: HD 638 S1 Class K2; 0.09 ა - დან 2ა-მდე;
- უზრუნველყოფს 16-ზე მეტ დროით გეგმას

- შეუძლია იმუშაოს კოორდინირებულად, სხვა კონტროლერებთან სინქრონიზებული კავშირის გზით
- ❖ სატრანსპორტო არაინტრუზიული დეტექტორები
 TRAFICAM Wide Angle, TRAFICAM Narrow Angle
 ინტერფეისული პლატიტ(4TI);
 სატრანსპორტო დეტექტორი აფიქსირებს ტრანსპორტს მოძრაობას ოთხ ზოლში.
 მიერთებულია კონტროლერთან და აფიქსირებს სიგნალს ტრანსპორტის მოძრაობის შემთხვევაში. ვიდეოდეტექტორების მოდული სამუშაო მანძილის დატვირთვით: 12-24გ. და/ან 220 გ. სამუშაო ტემპერატურით -34°C დან +80°C. სიმძლავრით 1,5ვატი.
- ❖ გარე დაკვირვების კამერა/ები:
- Axis Q6032E
 - Axis P5522E
 - Samsung SNM 3371 THP
- ❖ შუქნიშნის მოდულები:
- სატრანსპორტო შუქნიშანი PE2020 T1.1 Φ 200 x603
 - სატრანსპორტო შუქნიშანი T1.4 Φ 200 x13
 - სატრანსპორტო შუქნიშანი T1.7 Φ 200 x38
 - სატრანსპორტო შუქნიშანი T.2.1 Φ 200 x7
 - სატრანსპორტო შუქნიშანი T.2.7 Φ 200 x13
 - ფეხით მოსიარულეთა შუქნიშანი II.1.1 x422
 - ფეხით მოსიარულეთა დილაკი x63
- ❖ ელ. სადენები :
- სამ სადენიანი კაბელი 1000ვტ 3x6 BBT
 - სამ სადენიანი კაბელი 1000ვტ 3x25 BBT
 - კაბელი 37x1.5
 - კაბელი 27x1.5
 - კაბელი 19x1.5
 - კაბელი 14x1.5
 - კაბელი 10x1.5
 - კაბელი 7x1.5
 - კაბელი 5x1.5
 - ესელური კაბელი FTP4 კატეგორია 5e
- ❖ დამოუკიდებელი კვების წყარო - UPS
- 400W Input 24DC Output 220AC On-Line 2x 12v 65A
 - Dlt crystal serie, 24V to 220V 1KVA Model CL1000 12V 65A/H

საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ცენტრში არსებული ტექნიკური და
პროგრამული ნაწილი:

რკინის კარადა 10622 G2 Rack (22U)

KVM HP 0x2x8 KVM Server Console SWITH AF616A
კლავიატურა, მონიტორი, თაგვი: HP TFT7600 G2 KVM Console Intl. Kit
Hp 1x4 KVM Console 6ft USB Cable 2 -ცალი
16A High Voltage mPDU

სერვერი HP ProLiant ML370 G6

პროცესორი: Intel® Xeon® Processor E5620 @ 2.4 GHz
ოპერატიული მეხსიერება: 12 GB DDRIII
მყარი დისკი: 3G 7.2K Rpm SATA 2TB x 10 - RAID5, 6G DP 7.2K Rpm SAS 1TB x 2 4TB SAS 7.2K x4 – RAID1
ქსელის ადაპტერი: Two BCM5709C with dual port Gigabit
ოპტიკური მოწყობილობა: DVD-RW SATA
XProtect Milestone Enterprise 8.0c
Microsoft Windows Server 2008 R2 Standard Edition
კვების ბლოკი: 2x750W

სერვერი HP ProLiant ML380 G7

პროცესორი: 2 x Intel® Xeon® Processor E5630 @ 2.53 GHz
ოპერატიული მეხსიერება: 24 GB DDRIII
მყარი დისკი: SAS 2x600GB

ქსელის ადაპტერი: Two BCM5709C with dual port Gigabit
ოპტიკური მოწყობილობა: DVD-RW SATA
VMware ESXi v5.0
Microsoft Windows Server 2008 R2 Standard Edition
Microsoft Windows Server 2008 R2 Standard Edition + 25 CAL
Microsoft SQL Server Standard 2012 + 5 CAL
კვების ბლოკი: 2x750W

ვიდეო კედელი კონფიგურაციით

80" OVL-815 LED-Lit projection system
9X3 Rear Projection Modules
Designed especially for 24/7 operation
80" screen diagonal per rear projection module
Total size of video wall: 14.4 x 3.6 Meters
Height of support underneath video wall: 1.000 mm
Resolution per projection module: SXGA+(1400x1050 px)
Total resolution of video wall: 12600x3150 px
Aspect ratio per projection module: 4:3
Rear-projection DLP™
LED lifetime: >60000 h >80000 h (eco)
Cross Prosm Screen (FXS) and Black Bead (BB) technology to deliver excellent brightness and off-axis viewing performance
Seamless screens, no visible frame around screens, no loss of pixels
2x dual link DVI in
Modular set up for low MTTR and long MTBF, all components easily replaceable without effecting total video wall
AC Power typical: 230 W, maximum 350 W, eco mode: 170 W
Warranty 2 Years

გრაფიკული კონტროლერი (სერვერი) პროგრამული უზრუნველყოფით: BARCO PWS-101 Workstation

Hot Swap Power Supply x2
პროცესორი: 2x Intel® Xenon® CPU E5440 @ 2.83GHz
ოპერატიული მეხსიერება: 4GB RAM (3 GB usable)
ვიდეო ადაპტერი: Nvidia Quadro FX 3700
Multi-screen output
მყარი დისკი: SATA 1TB – 2x 500GB – RAID1
RAID1
10/100/1000 Mbit
USB extension 20 meters for keyboard and mouse
Licensed Features: Workstation – 5, Display – 3, Source – 105, Server -1
Barco's Control Room Management Software Version 2.1.1
Microsoft Windows XP Professional 32 Bit x3
Warranty 2 years

სამუშაო სადგური: HP Pro 3400 Series MT x4

პროცესორი: Intel® core™ i3-2120 CPU @3.30 GHz
ოპერატიული მეხსიერება: 4GB DDR III
მყარი დისკი: 1 TB
ქსელის ადაპტერი: 1.0 Gbps
ოპტიკური მოწყობილობა: DVD+/-RW
მონიტორი: Samsung Syncmaster S24B300 24" LED
ლიცენზირებული ოპერაციული სისტემა: Microsoft Windows 7 Professional x64
Internet Explorer 9, Mozilla firefox, Microsoft Office 2010 x32/x64 English

შენიშვნა: 4 სამუშაო სადგურიდან 2 ცალს აქვს ვიდეო ადაპტერი: ASUS GTX550T 1GB დამატებითი მონიტორი: Samsung Syncmaster S24B300 24" LED

ვიდეო ოპერატორის სამუშაო სადგური: HP Z210 CMT Workstation x2

პროცესორი: Intel® core™ i7-2600 CPU @ 3.40 GHz
დედადაფა: Socket LGA1155, Intel C206 chipset
ვიდეო ადაპტერი: AMD FirePro V5900 (ATI FireGL) 2GB 256Bit
ოპერატიული მეხსიერება: 4GB DDR III 1333MHz
მყარი დისკი: SATA 1TB
ქსელის ადაპტერი: 1.0 Gbps
ოპტიკური მოწყობილობა: DVD +/-RW
მონიტორი: Samsung Syncmaster S24B300 24" LED
ჯოისტიკი: AXIS T8311 Joystick
ლიცენზირებული ოპერაციული სისტემა: Microsoft Windows 7 Professional x64
XProtect Milestone Client
შენიშვნა: ვიდეო ოპერატორის ორივე სამუშაო სადგურს აქვს დამატებითი მონიტორი: Samsung Syncmaster S24B300 24" LED

სატრანსპორტო სისტემების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა

მართვის ცენტრის პროგრამული უზრუნველყოფა (ბაზური ვარიანტი, ოპციით ზრდადი 500 გზაჯვარედინამდე). ამჟამინდელი პროგრამა უზრუნველყოფს მოძრაობის კონტროლს, მულტიმედიურ კონტროლს, მის სტრატეგიულ დაგეგმარებას და განვითარებას. Semex Etraffic v 4.23

პროგრამას გააჩნია:

- ხმოვანი შეტყობინებები აპარატურის მდგომარეობაზე
- სრული ინფორმაცია მოძრაობის მახასიათებლებზე
- ერთი ან რამოდენიმე გზაჯვარედინის ეფექტური სადისპეჩერო კონტროლი
- "მწვანე ქუჩის" მდგომარეობა

- სატრანსპორტო კონტროლერების სრული კონტროლი
- გადამწვარი ნათურების სია
- აპარატურის მოდულისებრი სტრუქტურა
- სადენიანი და უკაბელო კონტროლი

საგზაო მოძრაობის ავტომატიზებული მართვის სისტემის მუშაობა

ზედა დონე (საგზაო მოძრაობის ავტომატიზირებული მართვის ცენტრი), გზაჯვარედინებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე აფასებს ტრანსპორტის დინების მდგომარეობას გზატკეცილზე და განსაზღვრავს მის ტენდენციას. მიღებული შედეგების ანალიზის შემდეგ, მიიღება გადაწყვეტილება რეგულირების ციკლის გაზრდასთან ან შემცირებასთან დაკავშირებით. რეგულირების გეგმა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით შეირჩევა. რეგულირების პარამეტრები (ციკლის ხანგრძლივობა და რეგულირების ფაზების რეკომენდირებული ხანგრძლივობა) გადაიცემა საგზაო კონტროლერების მიერ. ტრანსპორტის ნაკადის მდგომარეობის შეფასების პროცესი მოცემული პერიოდულობით სრულდება, რაც გზატკეცილზე მოძრაობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ქვედა დონე (საგზაო კონტროლერი) მოცემულ გზაჯვარედინებზე დაყენებული ტრანსპორტის დეტექტორებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე საზღვრავს ციკლის დროს და გზაჯვარედინებზე ტრანსპორტის დინების შესაბამისად ანაწილებს მას.

მიმწოდებელმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 იანვრამდე.

საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული შუქნიშნების და მათი მოწყობილობების მოვლა-შენახვა-ექსპლუატაციის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	გასაწევი მომსახურება (შესასრულებელი სამუშაოს დასახელება)	განზომილება	სამუშაოს ჩატარების პერიოდულობა	რაოდენობა წლის განმავლობაში	მომსახურების გაწევის ღირებულება (ლარი)	დანართი
1		3	4	5	6	7
1	ხისტ რეჟიმზე მომუშავე შუქნიშნის ობიექტზე მუშაობის რეჟიმების შეცვლა, გამორთვა, ჩართვა	ცალი		4	5	20
2	შუქნიშნის ობიექტზე წარმოქმნილი სხვადასხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრა	ცალი		5	22,5	112,5
3	შუქნიშნის მოდულის კვების ბლოკი	ცალი		5	30	150
4	შუქნიშნის მოდულის კვების ბლოკის შეცვლა	ცალი		5	10	50
5	შუქნიშნის მოდული	ცალი		1	30	30
6	შუქნიშნის მოდულის შეცვლა	ცალი		1	10	10
7	შუქნიშნის მონტაჟი	ცალი		1	30	30
8	შუქნიშნის აღმოფხვრა	ცალი		1	30	30

9	იზოლირებული ელ.სადენი 1000ვტ კვეთის 3X6 მონტაჟით	გრძ/მ	20	2,5	50
10	იზოლირებული ელ. სადენი კვეთის 7X1,5 მონტაჟით	გრძ/მ	20	1,5	30
11	იზოლირებული ელ. სადენი კვეთის 14x1.5 მონტაჟით	გრძ/მ	20	1,8	36
12	ქსელური კაბელი FTP4 კატეგორია 5e	გრძ/მ	20	1	20
13	ელ. სადენის (კაბელის) დამჭერი ბაგირის მიწოდება მონტაჟი	გრძ/მ	20	1,5	30
14	საგზაო მოძრაობის მართვისა და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის მართვა	ლარი	1	20400	20400
15	შუქნიშნის ობიექტების მიერ მოხმარებული ელ ენერგია. (2014 წლის 29 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით)	ლარი	1	600	600
16	სულ:				21598,5

2015 წლის 1-ლი იანვრიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით



ხელწერილი


ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2014 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ საგზაო მოძრაობის და კონტროლის ავტომატიზებული სისტემის, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული შუქნიშნების და მათი მოწყობილობების მოვლა-შენახვა-ექსპლოატაციის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.


ქ. თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)

ალექსანდრე მარგიშვილი - 


ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი

დავით მორალიშვილი - 


ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ლევან თევზაია - 


ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი

პაატა ჯაჭვლიანი - 

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

მალხაზ ჭამბურიძე - 

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილების უფროსი

დემურ კვიციანიშვილი - 

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ტექნიკური ზედამხედველი

მზევარ გოგილავა - 